საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N212 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

დ. სერგეენკოსთვის „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს მიენიჭოს „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვ. კვარაცხელიასთვის „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების

ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 24 მარტის №73 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი